

**თბა კობახიძე**

**ძველი ქართული სამონასტრო ცხოვრების  
თავისებურებანი**

პერიოდი, რომელშიც სირიელ მამათა მობრძანება და მათ მიერ სამონასტრო ორგანიზაციის ჩამოყალიბება თავსდება, მეგალ მძიმე პოლიტიკურ-კულტურული ასპექტებით ხასიათდება. ასეთი სერიოზულად პრობლემატური ფონიდან გამომდინარე, ქართულ სინამდვილეში დაარსებულ მონასტერს დიდი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ქონდა.

VI საუკუნის შუაწლებში აპოგეას აღწევს ქართული სულიერების და კულტურულ ფასეულობათა დამცრობის პროცესი და ამას მთლიანად პოლიტიკური გარემო განაპირობებს.

„ქართლსა შინა სპარსნი გაძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეგესად დაიპყრეს“<sup>1</sup>. ირანელებმა ვერ შეძლეს რა ქართული ფენომენის გამაზღვანება, ბიზანტიელებთან ქართველთა ურთიერთობის თავიდან აცილების მიზნით, მონოფიზიტობის გაერცელებას მიჰყვეს ხელი.

VI საუკუნეში სპარსელებისათვის მისაღები სარწმუნოება მონოფიზიტობა იყო (მისი ანგიბიზანტიურობის გამო).<sup>2</sup> ამ სარწმუნოების დამკვიდრების მოთავე კი სომხური ეკლესია გახდა. ქონების და გავლენის ცდუნებას დამორჩილებულმა სომეხმა ღვთისმსახურებმა „VI საუკუნის შუაწლებში ნერსე კათალიკოსის (548-567) დროს ყვეს კრება ქალაქ ღვინში და მიიღეს მონოფიზიტობა“<sup>3</sup>.

სომეხთა მონოფიზიტობა მკვიფნეული იყო მართმადიდებელი საქართველოსთვის, მით უფრო რომ ირანელთა მხარდაჭერით, სომხურმა ეკლესიამ სპარსელთა მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნების ეკლესიებზე ზედამხედველობის უფლება მოიპოვა.

სომხურ ეკლესიას თავისი ანგიქალკედონური ანუ ანგიბიზანტიური მიმართულების გამო სპარსეთი V – VI სს.-ში, არაბობა VII-IX სს.-ში აძლიერებდნენ და კარგად ეპყრობოდნენ.<sup>4</sup> სომხური ეკლესიის, როგორც ძლიერი ორგანიზაციის თავის მხარეზე გადაყვანას ცდილობდა ბიზანტიის იმპერია და არა ძალით, არამედ დათმობითა და დაყვავებით.

<sup>1</sup> მოქცევაი ქართლისაი – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები გვ.95.თბ. 1963

<sup>2</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია გვ.17.2003

<sup>3</sup> იქვე გვ. 18.

<sup>4</sup> იქვე გვ. 18.

ძლიერების ასეთი სტატუსი სომხურ ეკლესიას თვითნებურად მოქმედების საშუალებას აძლევდა, თავისი გავლენის სფეროსთვის მან არასომხური პროვინციების, მათ შორის ქართლის, დაქვემდებარებას შეძლო, შედეგად კი მკვიდრი ქართული მოსახლეობა (მაგ.: ჰერეთსა და გუგარქში ანუ ქვემო ქართლში) საეკლესიო თვალსაზრისით „სომხურენოვანი“ გახდა. ამ ფაქტის დასტურად გამოდგება „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ მოყვანილი ეპიზოდი, როდესაც დავითი სომხურად პასუხობს მისდამი მგრულად განწყობილ მომხდურს, რომელიც იყო „ნათესავით ადგილთაგან რუსთავისთა და ინადირებდა ნადირთ“.<sup>5</sup> დავით გარეჯელის მიერ სომხურის შესწავლა და ამ ენაზე მეტყვევლება სომხურენოვან მოსახლეობასთან ურთიერთობის საჭიროებით იყო განპირობებული. ქვემო ქართლში „სომხურენოვანი ღმრთისმსახურება ინერგებოდა ხოლო ქართულ ეკლესიებსა და წმინდა წიგნებში სომხური მინაწერები ჩნდებოდა“.<sup>6</sup>

სპარსული ხელისუფლების მხრიდან კინაღამ სიკვდილით დაისაჯა ქვემო ქართლში, ქართული მოსახლეობისთვის, ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დასაბრუნებლად ჩასული კათალიკოსი კირიონ I. 614 წელს მეფე ხორსომ საეკლესიო კრებაზე სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები ვალდებულ ჰყო მიეღოთ „სომხური ქრისტიანობა“, კირიონმა ბრძოლის გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალა და დასავლეთში გადავიდა.

ძალაუფლებასა და მიწა-მამულს დახარბებული ქართველი ხელისუფალნიც, ხშირად, სამშობლოს რწმენის და ენის ფენომენს უკანა პლანზე აუენებდნენ და ჭეშმარიტ კონფესიას ივიწყებდნენ. ეს იყო დრო, როდესაც ანგონ ღიდის ეპიოსკოლეთა თანამხმელად, კაცი მხოლოდ კაცს კი არა, შემოქმედს სცოდავდა: „ხოლო უკეთუ კაცმან კაცსა შესცოდოს, ღმრთისა მიმართ ილოცვიდნენ მის თუის კაცნი; უკეთუ ღმერთსა შესცოდოს ვისა მიმართ ილოცვიდნენ მის თუის“.

ამრიგად, ირანულ-სომხური საერო და სასულიერო ფენის მხრიდან ამგვარი დემაგოგიური ქმედებანი, რომელნიც ერთგვარად ძალადობრივ ხასიათსაც ატარებდნენ, მიმართული იყო როგორც მართლმადიდებელი კონფესიის ქართულ სინამდვილეში აღმოსაფხვრელად, ასევე ქართული ენის, როგორც ეროვნულობის უპირველესი გარანტიის მოსასპობად.

ასურელმა მამებმა თავიანთი მობრძანებით და უპირატესად ყოვლისა მონასტრის დაარსებით გადაარჩინეს არა მხოლოდ

<sup>5</sup> ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები – ცხოვრება ძეგლები „ცხოვრება დავით გარეჯელისა“ გვ.234.

<sup>6</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – საქართველოს მოკლე ისტორია გვ.18

ჭემპარიტი კონფესია, არამედ ქართული სახელმწიფო და მისი უმთავრესი ბერკეტი - ქართული ენა. სირიელ ბერთაგან დაარსებული, საზგასმულად ქართული მონასტერი, დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა.

სირიელმა მამებმა ყურადღება მიაქციეს ენის ფენომენს, შემობრძანებისთანავე მათი წინამძღოლი წმ. იოანე ქართულად მიესალმა მიგებებულ ერს. მამები ქართული ენის პრიმატს ხაზგასმულად აღიარებდნენ. „განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულად საუბარს, წირვა – ლოცვის ქართულ ენაზე ჩაგარებას აქცევდნენ, რადგან ეს ენა ქალკედონიზმის ენად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ ქალკედონიტობა ეროვნულ სარწმუნოებად უკვე VI ს-ის საქართველოში ქცეულა.“<sup>47</sup>

განმანათლებელი ქართლისა და განწმენდელი სჯულისა ნეგარი იოანე და მისი წინამძღოლობით მობრძანებული მამები, ქართლში ქალკედონიზმის რეაბილიტაციის მძლავრ ძალად მოიაზრებიან. „ასურელ მამათა მოღვაწეობის ფაქტი სწორედ ქალკედონიანობის საქართველოში ამ გამარჯვების გაგებას გვიაღვილებს.“<sup>48</sup> ამ გამარჯვებამ საუფძველი შექმნა ქართულ-სომხური ეკლესიების დაშორებისა. საქართველო სომხური ენისა და გრადიციების თავს მოხვევისაგან იხსნა და „ჩვენს ხალხს ეროვნულ-კულტურული გადაგვარების ამკარა საფრთხე ააშორა.“<sup>49</sup>

სამონასტრო ინსტიტუტის ჩამომყალიბებელ - დამკანონებელმა ეგვიპტემ IV საუკუნიდან შეიმუშავა ღვთისმსახურების საკუთარი განაწესი. ეს განაწესი კი თანდათანობით სამონასტრო ორგანიზაციის კლასიკურ სახედ იქცა ქრისტიანულ სამყაროში, ბუნებრივია საქართველოშიც.

პირველი სავანეები ეგვიპტურ სინამდვილეში დასახლებული ტერიტორიიდან ასობით კილომეტრის მოშორებით ღვინდებოდნენ. ამ ფაქტიდან გამომდინარე მონასტერი ნაკლებად ურთიერთობდა ერისკაცებთან. უმკაცრეს წესრიგს დამორჩილებული ეგვიპტური მონასტრის სახეს ამგვარად აღწერს კასიანი: „ერთ წანამძღვარს მორჩილებდა მრავალნი ... და ეს მორჩილება იყო იმდენად ძლიერი, რომლის წარმოდგენაც კი არ ძალგვიძს აქ (ანუ დასავლეთში) მცირე დროის მანძილზე“<sup>50</sup>.

<sup>7</sup> წმიდა ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია (უძველესი სინური ხელნაწერების მიხედვით) გვ.45. თბილისი 2005.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი – ქართველი ერის ისტორია გვ. 346.

<sup>9</sup> მიტროპოლიტი ანაია ჯაფარიძე საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. გვ. 19.

<sup>10</sup> E.C. Ἐὐδὲ ἀὰρ – Ὁμὲν ἰσχυρὸν ἦν ἔσθ' ἂν ἰσχυρὸν 48 ἰ ἰ ἡ ἀὰρ 2005

სირიელ მამათგან VI საუკუნეში შედგენილი ტიბიკონის უქონლობის გამო, შეუძლებელია დღეს ამ მონასტერთა განაწესის სრული სიმკაცრის განსაზღვრა. უნდა აღინიშნოს კი ის ფაქტორი, რომ საქართველოს ტერიტორიული სიმცირიდან გამომდინარე, (ეგვიპტისაგან განსხვავებით) შესაძლოა გაცილებით ხშირი იყო მონასტრის ერისკაცებისთან ურთიერთობის ფაქტები. სირიელ მამათა მიერ დაარსებულ მონასტრებთან მიდიოდა მოსახლეობა, კონტაქტირებდა ბერებთან, მათგან რჩევა-ღარიგებას იღებდა და წმინდა მამათა მიერ ჩაღვნილ სასწაულმოქმედებებს ხელავდა. ამ ფაქტთა დამადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება სირიელ მამათა ცხოვრების წიგნთაგან. საერთოდაც, მამათა მობრძანების არსი ხომ ქართველთა შორის უსჯულოთა ძალ-მომრეობით შერყეული ქრისტიანობის განმტკიცება იყო. მათი მისია შესანიშნავად იკითხება წმ. იოანეს მიერ მოწაფეთა მიმართ წარმოთქმულ ფრაზაში: „შეილნო რასა სდგათ აქა და არა მრუნავთ სხუათაც სარგებლისთვის. ახალნერგ არს ქუეყანა ესე და მოქენე არს მორწყუასა სწავლათა მიერ... ხოლო რომელნი მერმეცა უმეცრებასა და ურწმუნოებასა შინა არიან, რათა ასწავებდეთ და მოიმოწაფებდეთ თაყუანისცემად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა“.<sup>11</sup>

ქართულ სინამდვილეში მონასტრის დამაარსებელნი ხშირად კონტაქტირებდნენ ერისკაცებთან: „ამათ სანაგრელთა მამათა მიმართ მოვიდოდეს ვიეთნიმე ღუთის მოყუარენი და ქრისტეს მორწმუნენი და მათ მიერ ისწავებდიან მოძღურებასა სულისა წმიდა მყოფელთა“<sup>12</sup>. მამათა მიერ მოხდენილი სასწაულებითა და მომაკვავეთა სასწაულებრივი კურნებანი „განმტკიცებოდეს გულნი მორწმუნეთანი მართლისა სარწმუნოებისა მიმართ“.<sup>13</sup> ხოლო მერყეენი რწმენაში ანუ „სულთა და ხორცთა სნეულად მქონებელნი, უმეცრების მიერ კურნებასა მიემთხუცოდეს“.<sup>14</sup>

ერისკაცებთან ურთიერთობის ამგვარი ნაკლებშემზღუდული ფორმა, ჩემი აზრით, ადგილობრივი, ქართული ფაქტორია და დაშლილი ერის გაერთიანების განმსაზღვრელი მოტივიც.

საზღვარგარეთის მონასტრებში ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული, განსხვავებული ეროვნების და ენის მქონე მორწმუნენი. ათონის მთაზე საუკუნეთა მანძილზე ეროვნულობის ნიშნით გამოკვეთილი მრავალი მონასტერი დაარსდა: ივერთა, უნგრელთა, სერბთა, რუსთა, სომეხთა, ბერძენთა.

<sup>11</sup> საქართველოს სამოთხე „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“ გვ 199 პეტერბურგი 1881 წ.

<sup>12</sup> საქართველოს სამოთხე „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“ გვ 201.

<sup>13</sup> საქართველოს სამოთხე „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“ გვ 201.

<sup>14</sup> საქართველოს სამოთხე „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“ გვ 201.

სხვადასხვა ქვეყნიდან გამოქცეული, განმარტოების და ღვთის სამსახურს მოწყურებული მრავალი მორწმუნე ერთიანდებოდა ეგვიპტურ მონასტერშიც. ეს ბუნებრივია, რადგან სამონასტრო ინსტიტუტის დაარსების პერიოდში არა თუ ეგვიპტე, არამედ ევრაზიის მრავალი ქვეყანა რომის იმპერიის შემადგენლობაში იძულებით იყო გაერთიანებული. რომის წარმართი ხელისუფლება ამ ქვეყნებზე ფიზიკურ და იდეოლოგიურ ძალადობას ახორციელებდა. ამ ძალადობას განრიდებულნი კი ღვთისმსახურების ღვაწლის აღსასრულებლად ათასკილომეგრთან ეგვიპტურ უდაბნოში მისიწრაფოდნენ – იქ განთავსებული სამონასტრო ორგანიზაციების კენ.

ქართულ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. ისედაც მცირე საქართველო კიდევ მეტად მცირდებოდა და სუსტდებოდა. სპარსთა, სომეხთა და ბიზანტიელთა ძალმომრეობის შედეგად.

ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც პირდაპირხაზოვნად განაპირობებს ეროვნული ინსტიტუტების (ენის, გრადიციების, ისტორიის, პაგროციების) განმტკიცებას, VI საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად სრულიად მოშლილი ჩანს. ამ ცენტრალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი გარანტი, მართლმადიდებლობა კი ფესვებზეშერყეული. კეთილმდგომარეობის შესანარჩუნებლად ქართველ ხელისუფალთა ნაწილმა უარყო მთავარი ფასეულობები, თუმცა როგორც არქიმანდრიტი რაფაელი ბრძანებს: „ბედნიერება რომ გარეგან პირობებზე იყოს დამოკიდებული, მაშინ ცრემლი ოქროს და აღმასს არ დაეცემოდა და წუხილის ნაოჭები ... კვალს არ დატოვებდნენ მთავართა და თავაღთა სახეებზე.“<sup>15</sup>

და მაინც, ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე ქართული ფენომენი გადაგვარების მღვარზე იდგა. ამ დროს კი 13 ღვთივსულიერი, სასწაულმოქმედი, ღრმადგანსწავლული ქრისტიანი მამის მოსვლა და მათ მიერ მონასტრის დაარსება გადარჩენის თითქმის აბსოლუტური პირობა გახდა.

სირიელ მამათაგან დაარსებულ მონასტრებში თავმოყრილი სასულიერო ერთობა ხაზგასმულად და თითქმის შეურევლად ქართული იყო, ანუ ეს იყო ქართული ენის, კულტურის, ფასეულობების მოყვარე და მათი გადარჩენისთვის მზრუნველი გუნდი.

ამრიგად სირიელ ბერთაგან დაარსებული მონასტრები გამოკვეთილი ქალკედონურობით და ქართულობით ხასიათდებიან. მათი ფასდაუდებელი მოღვაწეობის თანამდევ თავისებურებებად, ან ერთგვარად ეროვნულ ფაქტორად, შეიძლება მიჩნეულ იქნას:

<sup>15</sup> Ἀδὸν ἐῖ ἀνδὲρ Ἐὰν ἀεὶ (Ἐὰν ἀεὶ) - Ἀἰὲθ ὄν ἄν ὄν ἄν ἄν ὄν ὄν 105

1. ქართული ენის სრული რეაბილიტაციის და განმტკიცების საკითხი;
2. გზასაცდენილ, რწმენაშერყეულ ერთან ხშირი ურთიერთობის ფაქტები;  
(მისი მოქცევის და წონასწორობაში მოყვანის მიზნით).
3. მონასტრის სამშოს ქართულენოვანი, ძირითადად ქართული ფენომენით შევსების საკითხი.

თუნდაც ეს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს ქართულ მონასტერს იმ ღრრინდელ აზიურ-აფრიკული მონასტრისგან და შესაბამისად ეს ფაქტორები VI საუკუნის დაქუცმაცებული ქვეყნის ძნელბელობიდან გამოყვანის მიზეზები ხდებიან.

სირიელ მამათა „ეპოქა წარმოადგენს ყველაზე ძნელბელობით პერიოდის გარდამავალ საფეხურს საეკლესიო და სამოქალაქო კეთილდღეობის საქმეში.“<sup>16</sup>

სირიელ ბერთა დაარსებული სავანეები თანდათანობით ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერების დიდ კრებად იქცნენ. „ამ მონასტრებში მონაზვნური ღვაწლით მიიღწეოდა განსაკუთრებული სულიერი განსაწვლულობა, რომლის მგავსი არ მიიღება ერში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბასილი დიდის, გრიგოლი ღვთისმეტყველის და იოანე ოქროპირის მსგავსი განათლებული ქრისტიანები საერო სასწავლებელთა დამთავრების შემდგომ, მიდიოდნენ მონასტერში, იმგვარი მადლისა და სიბრძნის მოსაპოვებლად, როგორც მხოლოდ მონაზვნური ცხოვრების გმირობითა და ღვაწლით მიიღწევა“.<sup>17</sup>

ამ მონასტრებთან არსებულმა სემინარიებმა და აკადემიებმა, ხაგწერის სახელოსნოებმა და საგალობელთა შემდგენელ-შემსწავლელმა სკოლებმა ჩამოაყალიბეს ქართული ეროვნული კულტურა და შექმნეს მსოფლიო მნიშვნელობის ფასეულობანი.

<sup>16</sup> Ἀἱ .. Ἐξέδῃς – Ἐπὶ τῷ Ἀδῶνι νῆς ἢ ἰν ἰθ ἄνθῶα ἔ ἰν ἄνθῶ δᾶε. Ἴθῶ 12.

<sup>17</sup> Ἀἱ . Ἐξέδῃς Ἐπὶ τῷ Ἀδῶνι νῆς ἢ ἰν ἰθ ἄνθῶα ἔ ἰν ἄνθῶ δῆν ἰθῶ 15

**დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ნაწ. I. – „მოქცევაი ქართლისაი“.
2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები – „ცხოვრება დავით გარეჯელისა“.
3. საქართველოს სამოთხე – „ცხოვრება იოანე მელაზნელისა“. პეტერბურგი 1882 წ.
4. წმ. ანტონი დიდის ეპისკოპეტა ძველი ქართული ვერსია – (უძველესი (Xს). სინური ხელნაწერების მიხედვით). თბილისი 2005 წ.
5. მიგროპილიგი ანანია ჯაფარიძე – საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. თბილისი, 2003 წ.
6. Ἀἱ Ἐπιτομῆς – Ἐπιτομῆς ἱερῶν καὶ ἱερῶν ἀποστολῶν ἐκ τῶν ἀποστόλων. Ὁρθόδοξον 1899 ἄ.
7. Ἀποστολῶν καὶ ἐπιτομῶν ἀποστόλων (Ἐπιτομῆς) – Βασιλῶν δὲ ἀποστόλων ἱερῶν
8. Ὁρθόδοξον καὶ ἱερῶν ἀποστόλων – Νῆας Ὀρθόδοξου. Ἱ ἱερῶν, 2005

*Tea Kobakhidze*

**Features of monastic life in early-medieval Georgia**  
(Summary)

In the mid-6<sup>th</sup> century, the decline of Georgian spiritual and cultural values reached its apogee. This state of affairs was conditioned by the political situation. Although the Iranians did not succeed in completely converting the Georgians to Mazdeanism, monophysite Christianity began to spread among them in opposition to the relationship with Byzantium. The Armenian church, as the principal monophysite institution, assumed a leadership role among the churches of the Transcaucasian nations occupied by Iran. It thus was able to extend its sphere of influence to non-Armenian provinces, including Georgia.

In these difficult circumstances, the arrival of thirteen erudite Syrian Christian clerics, and the foundation by them of monasteries, proved to be the guarantee of the survival of the Georgian state. The monasteries founded by the Syrian monks had distinctly Chalcedean and Georgian characteristics.